

ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებელი კომპანიების საქმიანობის

სამართლებრივი ანალიზი



ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
აგვისტო, 2018 წ.
ქ. თბილისი

მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი

*არჩილ კაიკაციშვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
გიორგი ზოიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი,
იურისტი
რუსლან ალექსიძე, მთავარი იურისტი;
მარიამ ფირცხალაიშვილი, იურისტი;
ია გოგნაძე, იურისტი;
გიორგი ლაბაძე, იურისტი, თარგმანი*

გურამ ლექვინაძე, ნათია მეფარიშვილი,
გვანცა ღვებდაშვილი - იურისტის თანაშემწეები.

☐ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და
განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და
დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე:
www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

<http://www.youtube.com/youngbarristers>

მისამართი: საქართველო, თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის #12

ორგანიზაციის ტელეფონი: 2 953518, 599 291202

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

გიორგი ზოიძე – 599 291202

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com;
Pryoungbarristers@gmail.com

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი

ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

1. შესავალი

2018 წლის 1 თებერვალს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საჯარო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ კომპანია „Sinohydro Corporation Limited“ არღვევდა მესაკუთრეთა უფლებებს და საექვოდ იგებდა ქართულ ტენდერებს¹. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ „Sinohydro Corporation Limited“-ისა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ, იწყებდა სამართლებრივი დავას და საქართველოში მიმდინარე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში დაზარალებული მესაკუთრეთა უფლებების დაცვას, ამ ფორმით, სახელმწიფოს უმოქმედობის შეჩერებას. ორგანიზაციის შეფასებით, ინტერესის სფეროს წარმოადგენდა აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთის გაუმჯობესების, ავტომაგისტრალის რუისი-აგარა-აგარის შემოვლითი გზის მონაკვეთის გაუმჯობესების, ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობის, ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის ძირულა-მოლითის მონაკვეთის რეაბილიტაციის, ბათუმი (ანგისა)-ახალციხე შიდასახელმწიფოებრივი გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების, ქობულეთის შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობის, სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობისა და ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობის ინფრასტრუქტურული პროექტებში კომპანიის საქმიანობაზე კვლევის მომზადება.

ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ შესაძლოა, გამოკვეთილიყო ტენდერებში მონაწილე კომპანიის არაკეთილსინდისიერი ქმედებები, რაც გულისხმობდა გამოცხადებულ სატენდერო კონკურსებში გამარჯვების მიზნით, პროექტის სრულყოფილად განხორციელებისთვის კომპანიის მიერ სახელმწიფოსთვის საჭირო რეალურ თანხაზე გაცილებით ნაკლების შეთავაზებით, ამ ფორმით, კომპანიის იოლი გამარჯვებით, ხოლო შემდგომ პროექტისთვის აუცილებელი საკმარისი ფინანსური სახსრების არ არსებობის გამო, მისი მნიშვნელოვანი ხარვეზებით განხორციელებით.

¹ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1154

ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ „Sinohydro Corporation Limited“-ს მიმართ ქართულ საზოგადოებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული პროექტების მიმართ არსებულ მდგომარეობის ანალიზსაც შეისწავლიდა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, „Sinohydro Corporation Limited“-ის საქმიანობის შედეგად ბევრი ადამიანი დაზარალდა, როდესაც კომპანიამ საპროექტო მიზნებისთვის ისარგებლა მოქალაქეების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებით და არ გასცა შესაბამისი კომპენსაცია. ამასთან, ამ ფაქტების მიმართ, სათანადოდ არ რეაგირებს „Sinohydro Corporation Limited“-ის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველი სახელმწიფო უწყება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ორგანიზაციამ სასამართლო წესით დავა დაიწყო ქობულეთის შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობის პროცესში დაზარალებული ერთ-ერთი ადგილობრივი მოქალაქის, *მაყვალა ჯაფარიძის* დარღვეული უფლებების აღდგენის მიმართულებით. „Sinohydro Corporation Limited“-მა მესაკუთრის ინფორმირებისა და ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე ისარგებლა მოქალაქის მიწის ნაკვეთით, ამოიღო ინერტული მასალა, მიწის ნაკვეთი კი, პირვანდელი დანიშნულებისთვის, უკვე გახდა გამოუსადეგარი. მაყვალა ჯაფარიძე ორგანიზაციის მეშვეობით, 2016-2017 წლებში, არაერთი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, როგორც კომპანიასთან, ასევე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, ამოდ ცდილობდა კანონიერ უფლებებში აღდგენას. მოქალაქე ამ პროცესში სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღების გარეშეც დარჩა. დეპარტამენტმა არ დააკმაყოფილა სადავო საკითხზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი, რომლის გასაჩივრება და სამართლიანი კომპენსაციის მიღებაც, მაყვალა ჯაფარიძემ, უკვე სასამართლო წესით გადაწყვიტა. მაყვალა ჯაფარიძის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ ტერიტორიული განსჯადობის პრინციპით, 2018 წლის 6 თებერვალს, განსახილველად ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაუგზავნა². 2018 წლის 1 მარტის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, მაყვალა ჯაფარიძის სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული³. 2018 წლის მაისის თვის მდგომარეობით, საქმეზე სხდომა არ მოწვეულა, თუმცა

² 2018 წლის 6 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმეზე: #3/644-18. მოსამართლე: ივანე აღნიაშვილი.

³ 2018 წლის 1 მარტის ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, საქმეზე: #3/88-2018. მოსამართლე: ირაკლი შავაძე.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა წარმოადგინა სამართლებრივი შეპასუხება და მაყვალა ჯაფარიძის მოთხოვნები, არ სცნო.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2018 წლის 9 თებერვალს სპეციალური განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ის მიერ ინფრასტრუქტურულ პროექტებში დაზარალებულ ადგილობრივ მოსახლეობას სასამართლოში დავის დაწყებას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სთავაზობდა. ორგანიზაციის განმარტებით, მომართვის და საკითხის სამართლებრივი შეფასების შემდეგ, ორგანიზაცია მოამზადებდა სარჩელებს და იქნებოდა დაზარალებული მოქალაქეების წარმომადგენელი საქართველოს სასამართლოებში. ორგანიზაცია დაიცავდა მოქალაქეებს საკუთრების უფლების სავარაუდო ხელყოფის ფაქტებისგან⁴.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2018 წლის 14 თებერვალს საჯარო განცხადება გაავრცელა და საზოგადოებას წარუდგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინფორმაციის ანალიზი, რომლის მიხედვითაც, კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ის საქართველოში საქმიანობის შესახებ გამოიკვეთა 20-ზე მეტი სისტემური ხასიათის დარღვევა⁵.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2018 წლის 21 თებერვალს სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს და აღნიშნეს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერების შესწავლისა და შეფასების პროცესში დაადგინა, რომ დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები სამუშაოდ იმ უცხოურ სამშენებლო კომპანიებში გადავიდნენ, რომლებმაც გამოცხადებული ტენდერები მოიგეს და სატენდერო კომისიის წევრები დღეს ამ კომპანიაში დასაქმებული დეპარტამენტის ყოფილი თანამდებობის პირები არიან. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ დარღვეულ იქნა კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომლის თანახმადაც, შემთხვევა უნდა შეფასებულიყო, როგორც ინტერესთა კონფლიქტი⁶.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2018 წლის 5 მარტს საჯარო განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ კვლევის შედეგად ვლინდებოდა, რომ კომპანიამ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი

⁴ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1159

⁵ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1161

⁶ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1169

სახელმწიფოს შესაბამის კომპეტენტურ უწყებებთან ნებართვების მიღების გარეშე შეცვალა. თავდაპირველად, პროექტით განისაზღვრა, რომ ვინაიდან ტერიტორია წარმოდგენდა ჭაობიან ადგილს, გზა აშენდებოდა ბეტონის ხიმინჯებზე. კომპანიამ პროექტში ცვლილებები მოითხოვა და ტერიტორიაზე ფიტილები დამონტაჟდა, თუმცა ფიტილების გამოყენებით, გზის მშენებლობამ შედეგი არ გამოიღო⁷.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2018 წლის 12 მარტს, „სინოჰიდროს“ მიერ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გამოვლენილ დარღვევებსა და უკანონო მოქმედებების ფაქტებზე, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს საპროტესტო - ღია წერილით მიმართა⁸ და აღნიშნა, რომ მიმდინარე სამი პროექტიდან, რომელსაც კომპანია ახორციელებდა, სამივე პროექტში უხეშად ირღვეოდა საქართველოს კანონმდებლობა, სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და შრომის კოდექსები, კომპანია აზიანებდა გარემოს და არ ასრულებდა ვალდებულებებს, რომელიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის, სავაჭრო, კულტურული, სოციალურ თუ პოლიტიკური ურთიერთობების დრამატულად მზარდი ტენდენციის ფონზე, ნებისმიერი გადახრა კურსიდან, ნებისმიერი არამართლზომიერი მოქმედება, ქართულ საზოგადოებაში ძალიან მტკივნეულ და არასასიამოვნო რეაქციას იწვევს. შესაბამისად, ორგანიზაციამ მოითხოვა წარდგენილ დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება⁹.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2018 წლის 27 მარტს სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნეს, რომ კომპანიის მიერ კანონდარღვევის ფაქტებს გააჩნია სისტემური დანაშაულის ხასიათი, საქართველოს გარემოზე მიყენებულმა მნიშვნელოვანმა ზიანმა შეადგინა - 233,241.06 ლარი, ხოლო 2013 წლის 6 ივნისიდან 2017 წლის 6 ნოემბრის მდგომარეობით, 46 სამართალდარღვევის ფაქტზე თანხმამ - 62,686,98 ლარი. ორგანიზაციამ მოუწოდა საქართველოს მთავრობას და საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, მიეღოთ გადამჭრელი ზომები და რეაგირება მოეხდინათ კომპანიის საქმიანობაზე საქართველოში, რომელიც უხეშად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას და დაუსჯელი რჩებოდა ჩადენილი კრიმინალისთვის¹⁰.

⁷ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1179

⁸ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 12 მარტის #063 წერილი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს დი იანჩის.

⁹ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1186

¹⁰ http://www.barristers.ge/ge/page/news_item/1197

2018 წლის 30 მარტს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად დაინიშნა მაია ცქიტიშვილი, რომელმაც შეცვალა ზურაბ ალავიძე, ხოლო მინისტრის გადაწყვეტილებით, თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე, რომელიც შეცვალა ირაკლი ქარსელაძემ. ორგანიზაცია გამოეხმაურა მიღებულ გადაწყვეტილებებს და ფაქტი დაუკავშირა საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში სავარაუდო კორუფციული სკანდალის გასაჯაროების პროცესს. ორგანიზაციის იურისტმა მედიასთან კომენტარში აღნიშნა შემდეგი: „შექმნილმა ვითარებამ ღია და აშკარა გახდა საერთაშორისო ფონდებიდან თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გზების მოწესრიგებისთვის და მშენებლობისთვის გამოყოფილი კოლოსალური თანხების არამიზნობრივი ხარჯვა, რომელზედაც პასუხისმგებლობა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და გზების სახელმწიფო დეპარტამენტს, ერთობლივად ეკისრებოდათ. ბოლო 3 თვის განმავლობაში ორგანიზაციამ არაერთი სამართლებრივი შეფასება წარმოადგინა, რომელიც „სინოჰიდროს“ საქმიანობასთან, გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირების უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტებსა და ფარულ გარიგებებს ეხება. მიღებული საკადრო გადაწყვეტილებები პოლიტიკური გადაწყვეტილებებია და თავად ამხელს ინფრასტრუქტურულ პროექტებში დიდ ფულთან მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების, როგორც მინისტრია, ირიბ თუ პირდაპირ კავშირებს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მინისტრი ზურაბ ალავიძე საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში დარღვევებს და სავარაუდო კორუფციულ დანაშაულებს შეეწირა, მათ შორის ყველაზე გახმაურებულ სკანდალს, რომელიც ჩინური კომპანია „სინოჰიდროს“ საქართველოში საქმიანობას უკავშირდება“¹¹.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2018 წლის 2 აპრილს წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის ფრაქციებს, საქართველოს მთავრობის რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და კომპანია „სინოჰიდროს“ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობაზე

¹¹ <https://pia.ge/post/194894-giorgi-labaze-ar-gamikvirdeba-tuki-wasuli-ministri-alavize-sinohidroshi-saqmianobas-daiwyebis>

პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნა და საპარლამენტო ზედამხედველობითი ფუნქციის გამოყენება მოითხოვა¹².

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წინამდებარე კვლევა საჯარო და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი 2018 წლის აგვისტოს თვიდან გახადეს. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში საჯაროობისა და გამჭვირვალობის კვლევას გააგრძელებს. წარმოდგენილი კვლევა მიეწოდათ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, დიპლომატიურ კორპუსს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და მედიას.

¹² ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 2 აპრილის #089 წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესა და საპარლამენტო ფრაქციებს;

2. საკითხის შესწავლის პროცესი

2017 წლის 25 იანვარს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს¹³ და მოითხოვეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია, ხოლო 2018 წლის 8 თებერვალს, ორგანიზაციამ დეპარტამენტის მიმართ გაგზავნილი განცხადების მე-3 ნაწილი დააზუსტა¹⁴.

1. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, ა) სამტრედია-გრიგოლეთის 18,5 კილომეტრიანი და ბ) თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული გზის, გ) ქობულეთის შემოვლითი გზის, დ) ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზისა და ე) რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი გზის (ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი) ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყების, დასრულების, მისი შინაარსობრივი მხარის თაობაზე;

2. ინფორმაცია, თუ რომელმა კომპანიებმა შეასრულეს (ან ასრულებენ) სამტრედია-გრიგოლეთის 18,5 კილომეტრიანი და თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული გზის, ქობულეთის შემოვლითი გზის, ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზისა და რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი გზის (ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი) ინფრასტრუქტურული პროექტები. მოგვაწოდეთ ინფორმაცია ამ კომპანიების სრული დასახელებების ან შემსრულებელი ქვეკონტაქტორების თაობაზე.

3. ზ/აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიმართ დადებული ყველა ხელშეკრულების ასლი, ამ ხელშეკრულებებში შესული ცვლილებების ასლები, მისი დადებიდან 2018 წლის 25 იანვრის მდგომარეობით;

4. ინფორმაცია, ზ/აღნიშნული შემსრულებელი კომპანიებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაფიქსირებულა თუ არა სახელშეკრულებო ვადის დარღვევა ან/და ნაკლოვანი შესრულება. ასეთი შემთხვევების არსებობისას, ყველა მათგანის თაობაზე, მოგავწოდეთ სრული ინფორმაცია მათი პერიოდის გათვალისწინებით;

5. ზ/აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებელი კომპანიის მიმართ გამოყენებულ იქნა თუ არა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრება - ჯარიმა ან/და პირგასამტეხლო

¹³ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 25 იანვრის #18 წერილი;

¹⁴ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 8 თებერვლის #40 წერილი;

ან/დახელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, რომელი ასეთი კომპანიების მიმართ, როდის და რა რაოდენობის ჯარიმების გამოყენება განხორციელდა?

6. იმ შემთხვევაში, თუკი გამოყენებულ იქნა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, როდის, რის საფუძველზე და რა პასუხისმგებლობის ფორმით?

7. თუკი კომპანიის/კომპანიების მიმართ დაკისრებული იქნა ფულადი სანქცია, დამრღვევის მიერ უზრუნველყოფილი იქნა თუ არა დაკისრებული პასუხისმგებლობის შესრულება.

8. მოგვეწოდოს ინფორმაცია ზ/აღნიშნულ თითოეულ ინფრასტრუქტურულ პროექტში, შემსრულებელი კომპანიების მიერ დასაქმებული პირების რიცხოვნობის, მათი ეროვნების, საშუალო შრომითი ანაზღაურების შესახებ;

2018 წლის 14 თებერვლის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის #2/1536 წერილის თანახმად, ორგანიზაციას პასუხი გაეცა დასმულ კითხვებზე შემდეგი სახით:

1. ა) სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500-კმ30+000(ლოტი II) მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო 13.03.2016 წელს. დასრულება დაგეგმილია 2018 წლის სექტემბერში. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია: 4 წლიანი ასფალტობეტონის საფარიანი 18,5 კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალის, 3 სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარი), 6 პარალელური ხიდის, წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა;

ბ) ქობულეთის შემოვლითი გზის კმ0=000-კმ12=400 მონაკვეთის მშენებლობა და არსებული 2 ზოლიანი გზის გაგანიერება 4 ზოლიანამდე, ჩაქვი - მახინჯაური კმ30+000-კმ33+000 მონაკვეთზე (ლოტი I) სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა 01.09.2011 – 01.06.2014 წლებში. სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, მოძრაობა გახსნილია. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 2 ზოლიანი ასფალტობეტონის საფარიანი 12,4 კმ-იანი და 1,2 კმ 4 ზოლიანი (ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე) ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა. 11 ხიდის, 3 გზაგამტარის, წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა; ქობულეთის შემოვლითი გზის კმ12+400 - კმ30+400 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტიII) დაიწყო 24.05.2013 წელს დასრულება დაგეგმილია 2018 წლის ივნისში. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია: ორზოლიანი ასფალტობეტონის საფარიანი 18,0 კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალის, 2 სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარი);

13 ხიდის; 2 გვირაბის; წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა;

გ) E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ზესტაფონი ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის ზესტაფონის ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის კმ0+000 - კმ15+172 მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარეობდა 24.07.2013 – 22.12.2017 წლებში. ამ დროისთვის მიმდინარეობს კონტრაქტით განსაზღვრულ დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი. პროექტის ფარგლებში აშენდა: 4 ზოლიანი ცემენტობეტონის საფარიანი 15,2 კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალი, 3 სატრანსპორტო ორ დონიანი კვანძი, 10 პარალელური და 1 ორმხრივ მოძრაობიანი ხიდი, წყალგამტარი მილები და მიწისქვეშა გასასვლელები;

დ) E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი კმ0+000-კმ5+800 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი 1) დაიწყო 17.11.2017 წელს, დასრულება დაგეგმილია 2019 წლის ნოემბერში. პროექტით განსაზღვრულია 4 ზოლიანი ცემენტობეტონის საფარიანი 4,8 კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალის, 4 პარალელური ხიდის, წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა;

E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი კმ5+800-კმ14+050 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი 2) დაიწყო 31.10.2017 წელს, დასრულება დაგეგმილია 2020 ოქტომბერში. პროექტით განსაზღვრულია 4 ზოლიანი ცემენტობეტონის საფარიანი 8,2 კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალის, 6 პარალელური და 1 ორმხრივ მოძრაობიანი ხიდის, 2 პარალელური და 1 ორმხრივ მოძრაობიანი გვირაბის, წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა.

2. ა) სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500-კმ30+000 (ლოტი II) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს „Sinohydro Corporation Limited“.

გ) ქობულეთის შემოვლითი გზის კმ0+000-კმ12+400 მონაკვეთის მშენებლობა და არსებული 2 ზოლიანი გზის გაგანიერება 4 ზოლიანამდე, ჩაქვი - მახინჯაური კმ30+000-კმ33+000 მონაკვეთზე (ლოტი I) სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა „Sinhydro Corporation Limited“ -მა;

ქობულეთის შემოვლითი გზის კმ12+400 - კმ30+400 მონაკვეთის (ლოტი II) სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს „Sinhydro Corporation Limited“.

გ) E-60 აღმოსავლეთ დასავლეთ ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ზესტაფონი ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის ზესტაფონი ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის კმ0+000 - კმ15+172 მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს JV „TODINI Costruzioni Generali SPA“ TAKENAKA CIVIL ENGINEERING & CONSTRUCTION CO. LTD“;

დ) E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის კმ0+000-კმ5+800 მონაკვეთის (ლოტი1) მშენებლობას ახორციელებს „SinhydroCorporationLimited“.

E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი კმ5+800-კმ14+050 მონაკვეთის (ლოტი2) მშენებლობას ახორციელებს ASTALDI S.P.A.

3. ა)სამტრედია გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500-კმ30+000 (ლოტი II) მონაკვეთის მშენებლობაზე დასაქმებულია 380 ადამიანი, მათ შორის 70% ან მეტი საქართველოს მოქალაქე;

ბ) ქობულეთის შემოვლითი გზის კმ0+000-კმ12+400 მონაკვეთის მშენებლობა და არსებული 2 ზოლიანი გზის გაგანიერება 4 ზოლიანამდე, ჩაქვი - მახინჯაური კმ30+000-კმ33+000 მონაკვეთზე (ლოტი I) სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული იყო (საშუალოდ) 500 ადამიანი, მათ შორის 70% ან მეტი საქართველოს მოქალაქე; ქობულეთის შემოვლით გზის კმ12+400 - კმ30+400 მონაკვეთის მშენებლობაზე დასაქმებულია 700 ადამიანი, მათ შორის 70% ან მეტი საქართველოს მოქალაქე;

გ) E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ზესტაფონი ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის ზესტაფონი ქუთაისის ახალი შემოვლით გზის კმ0+000 - კმ15+172 მონაკვეთის მშენებლობაზე დასაქმებულია 455 ადამიანი, ამთ შორის 70% ან მეტი საქართველოს მოქალაქე;

დ) E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი კმ0+000-კმ5+800 მონაკვეთის (ლოტი 1) მშენებლობაზე დასაქმებულია 100 ადამიანი მათ შორის 70% ან მეტი საქართველოს მოქალაქე;

E-60 ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი კმ5+800-კმ14-050 მონაკვეთის (ლოტი 2) მშენებლობაზე დასაქმებულია 100 ადამიანი მათ შორის 70% ან მეტი საქართველოს მოქალაქე. ასევე,

წარმოგიდგენთ ინფორმაციას შემდეგ პროექტებზე:

კონტრაქტი No GEWH/CW/ICB-02 - სამტრედია - გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11+500 - კმ30+000 მშენებლობა (ლოტი II) - კონტრაქტორი: „Sinhydro Corporation Limited“, სამუშაოების დაწყების თარიღი: 13.03.2016 წელი, დასრულების თარიღი - 13.09.2018 წ.

კონტრაქტი No RCIP/CW/ICB-02 - ქობულეთის შემოვლითი გზის კმ12+400-კმ31+259 მონაკვეთის მშენებლობა, კონტრაქტორი Sinhydro Corporation Limited; სამუშაოების დაწყების თარიღი: 24.05.2013 წ. სამუშაოების დასრულების თარიღი: 30.06.2018წ.

კონტრაქტი No EWHIP/CW/ICB-03 - E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ ავტომაგისტრალის გაუმჯობესების ფარგლებში ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლით გზის კმ0+000-კმ15+172 მონაკვეთის მშენებლობა; კონტრაქტორი - ერთობლივი საწარმო

„TODINI Costruzioni Generali SPA“ „TAKENAKA CIVIL ENGINEERING&CONSTRUCTION CO. LTD“; სამუშაოების დაწყების თარიღი; 25.07.2013წ., სამუშაოების დასრულების თარიღი: 22.12.2017წ.

კონტრაქტი No EWHCIP/CW/ICB-01 Lot1 - რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი ს/გზის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობა ლოტი I (კმ.0+000-კმ.5+800); კონტრაქტორი - „Sinhydro Corporation Limited“; სამუშაოების დაწყების თარიღი: 17.11.2017წ., სამუშაოების დასრულების თარიღი: 17.11.19წ.

კონტრაქტი No EWHCIP/CW/ICB-01 Lot 2 - რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი ს/გზის ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობა ლოტი II (კმ5+800 – კმ 14+050); კონტრაქტორი - შ.პ.ს „ASTALDI“; სამუშაოების დაწყების თარიღი: 31.10.2017წ., ხოლო დასრულების - 31.10.2020წ.

E-60 მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 11+500 – 30+000 ლოტი II სამშენებლო სამუშაოები იწყება სოფელ ჯაპანასთან ახლოს - Pk115+00 და სრულდება ლანჩხუთთან - Pk300+00. პროექტი მოიცავს ოთხზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობას, რომლის გეომეტრიული პარამეტრები შერჩეული სატრანსპორტო ნაკადის, გზის დანიშნულებისა და რელიეფის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მომხმარებლისთვის/მოდრაობისთვის უსაფრთხოება და ხელსაყრელი პირობები, და ამავე დროს, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რეგიონსა და მოსახლეობაზე მაგისტრალის უარყოფითი ზეგავლენა.

ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის, ლოტი I (კმ.0+000-კმ.5+800) და ლოტი II (კმ 5+800 - კმ 14+050) მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის E-60 საავტომობილო-სატრანზიტო კორიდორის შემადგენელ ერთ-ერთ სეგმენტს. აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობა მკვეთრად გაზრდის ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობას, სიჩქარესა და გზის გამტარუნარიანობას. ასევე, დადებითი ეფექტი ექნება მოძრაობის უსაფრთხოების კუთხითაც. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოზე გამავალი E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კონკურენტუნარიანობის გაზრდას სხვა კორიდორებთან მიმართებაში. ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობით გაიზრდება შავი ზღვის პორტის მეშვეობით შემომავალი ტვირთის, რომელიც მოძრაობს ევროპიდან შუა აზიის მიმართულებით და პირიქით, გამტარუნარიანობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას. ასევე წარმოადგენს თქვენს მიერ მოთხოვნილ შემდეგი ხელშეკრულების ელექტრონულ ვერსიებს დანართის სახით:

სამტრედია - გრიგოლეთის 18,5 კმ ს/გზის მშენებლობა ლოტი II (No GEWH/CW/ICB-02), ქობულეთის შემოვლით გზის კმ12+400-კმ31+259 მონაკვეთის მშენებლობა (No RCIP/CW/ICB-02),

E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ ავტომაგისტრალის გაუმჯობესების ფარგლებში ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი ს/გზის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობა ლოტი I (No EWHCIP/CW/ICB-01),

რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი ს/გზის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობა ლოტი II (No EWHCIP/CW/ICB-01).

ამასთან, ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში კომპანიების მიმართ არ ყოფილა გამოყენებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის ან პირგასამტეხლოსა ან/და ჯარიმის ღონისძიებები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ხელშეკრულების და შეთანხმების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები უკავშირდება იმ საქმიანობას, რომელიც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში. შესაბამისად, დეპარტამენტი უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, არ გასცეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და ამ წერილზე თანდართული დოკუმენტაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართ საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის გათვალისწინებით, დეპარტამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია თქვენ წერილში მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის გაცემა“.

2017 წლის 29 იანვარს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს¹⁵ და მოითხოვეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. 2012-2018 წლის იანვრის თვის მდგომარეობით, სამინისტროს მხრიდან მომხდარა თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში შრომითი უფლებების დაცვის მონიტორინგი, რა დასკვნები და რეკომენდაციები გაცემულა სამინისტროს მიერ შემსრულებელი კომპანიების მიმართ, ყოფილა თუ არა სამინისტროს მეშვეობით დაჯარიმებული აღნიშნული კომპანიები დასაქმებულთა უფლებების დარღვევის ფაქტების გამო?

2. ინფორმაცია, ა) სამტრედია-გრიგოლეთის 18,5 კილომეტრიანი და ბ) თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული გზის, გ) ქობულეთის შემოვლითი გზის,

¹⁵ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 29 იანვრის #25 წერილი;

დ) ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზისა და ე) რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი გზის (ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი) ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის პროცესში, აკვირდება თუ არა სამინისტრო და რა ფორმით ახდენს დასაქმებულთა უფლებების დაცვის მონიტორინგს, აქვს თუ არა სამინისტროს შემსრულებელ კომპანიასთან სათანამშრომლო ურთიერთობა და გაცემულა თუ არა რეკომენდაციები ზ/აღნიშნულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დასაქმებული პირების შრომითი უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით?

3. სამინისტროს მიერ შემოწმებულ იქნა თუ არა კომპანია “Sinohydro Corporation Limited”-ის საქმიანობის პროცესში შრომის უსაფრთხოება, თავისი კომპენტაციის ფარგლებში. ასეთი შემოწმების შემთხვევაში, იქნა თუ არა გამოვლენილი რაიმე სახის დარღვევა. რა პასუხისმგებლობის ფორმა იქნა გამოყენებული;

4. სამინისტრო, რა პრინციპზე დაყრდნობით ახორციელებს დამსაქმებლის შემოწმებას, განსაზღვრულია თუ არა დამსაქმებლები, რომელთა საქმიანობიდან გამომდინარე, არსებობს განსაკუთრებული რისკი და მათ მიმართ სამინისტროს მხრიდან იკვეთება თუ არა დაინტერესება, რათა დაცულ იქნეს უსაფრთხოების წესები.

2018 წლის 9 თებერვლის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს #01/7538 წერილის თანახმად¹⁶, ორგანიზაციას ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შემოწმდა მხოლოდ შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ (16.03.2016). ინსპექტირება განხორციელდა კომპანიის ადმინისტრაციულ ოფისში და მის მიმდებარედ საწარმოო ტერიტორიაზე (ლანჩხუთის რაიონში). შემოწმების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი დარღვევები:

1. „ორგანიზაციაში არასრულფასოვნადაა დანერგილი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა; ვერ წარმოადგინეს თანამდებობრივი და საწარმოო ინსტრუქციები. ინსტრუქტაჟის ჩატარების წესი და შინაარსი ბუნდოვანია. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი საუბრობს დასაქმებულთათვის უცხო ენაზე, რაც იწვევს ეფექტური კომუნიკაციის დეფიციტს. აღნიშნული განაპირობებს შრომის დაბალ კულტურასა და არაჯანსაღ სამუშაო პროცესს;

¹⁶ 2018 წლის 9 თებერვლის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს #01/7538 წერილი;

2. დასაქმებულები არ გადიან სავალდებულო პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას;
3. სამუშაო ადგილები არ არის მომარაგებული პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით;
4. საწარმოში მოსაწესრიგებელია სახანძრო უსაფრთხოება;
5. საწარმოში მოსაწესრიგებელია ელექტროუსაფრთხოება;
6. საწარმოს ტერიტორიაზე და საამქროებში არ არის საკმარისი რაოდენობის და შესაბამისი ხასიათის მქონე ამკრძალავი, სავალდებულო, სარეკომენდაციო და დამხმარე ხასიათის ნიშნები;
7. ჟანგბადის და პროპანის ავზები მიმოფანტულია საწარმოს ტერიტორიაზე უკონტროლოდ. ექსპლუატაციაში მყოფ მაღალი წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობებს არ უტარდება ტექნიკური შემოწმება უსაფრთხოების კომპონენტზე;
8. საწარმოს ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარები და სანიაღვრე არხი არ არის შემოღობილი ჯებირებით, შესაძლებელია პერსონალის ჩავარდნა და ტრამვირება;
9. საწარმოში წარმოქმნილი ნახმარი წყლები გაედინება ყოველგვარი გაწმენდა-გაუვნებლობის გარეშე;
10. საწარმოს კუთვნილი მიწზე ტექნიკის ნაწილი საჭიროებს ტექნიკურად სრულ გამართვას;
11. ამწე-მოწყობილობების ტექნიკური გამართულობა გაურკვეველია, ვერ წარმოადგინეს ტექნიკური შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
12. არმატურის საამქრო წარმოადგენს არაკაპიტალურ, ტენტით ნაწილობრივ გადახურულ ფარდულს. შიდა და გარე პერიმეტრი გადატვირთულია სამრეწველო მასალით (არმატურით), ერგონომიკა მოუწესრიგებელია, დასაქმებულები მუშაობენ სამოქალაქო ტანსაცმელში, იდს-ების გამოყენების გარეშე, ელექტროგაყვანილობა მოსაწესრიგებელია. პრაქტიკულად უგულვებელყოფილია შრომის დაცვის მინიმალური ნორმები. საწარმოო პროცესები არამექანიზმებულია და არ არის გათვალისწინებული ნაკადულობა;
13. დასაქმებულებს სპეცტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ეძლევათ დაგვიანებით (სამითვის ვადის გასვლის შემდეგ), არასრული კომპლექტაციით და უხარისხო. პერსონალი საწარმოო სივრცეში გადაადგილდება და დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს სამოქალაქო ტანსაცმლით, იდს-ების გარეშე. სპეციალურ სამუშაოებს ასრულებენ სათანადო აღჭურვილობის გარეშე;
14. საწარმოს პერიმეტრი საჭიროებს კეთილმოწყობასა და დასუფთავებას;
15. ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე პერიმეტრზე, მოუწყობელ პოლიგონზე წარმოებს ორგანიზაციის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე;

16. სასადილო არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს, მოსაწყობია ეფექტური სავენტილაციო სისტემა. შენობის კედლები დაფარულია სოკოს ფენით. არ არის სრულად გათვალისწინებული სურსათის უვნებლობის წესები. არ მოწმდება კვების ბლოკში დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. საწარმოო სათავსებში ადგილი აქვს თამბაქოს მოხმარებას;
17. ბეტონის საამქროში სამუშაო ადგილი მოწყობილია უშუალოდ ბეტონის ჩამომსხმელ დანადგარის სივრცეში. მოწყობილობების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ვიბრაცია, მტვერის წარმოქმნა, ხმაური. საწარმოო პროცესში გამოიყენება მოვიბრირე ხელის იარაღი. არ არის გათვალისწინებული მოწყობილობა სამუშაო ტანსაცმლის გაუმტვერიანებისათვის, არ გამოიყენებენ იდს-ებს: რესპირატორს, სმენის ორგანოს დამცავს, ვიბრომომთავიზოლირებელ ხელთათმანებს, სათვალეს/ფარს. სიმაღლეზე ამსვლელი კიბეები არ არის შემოფარგლული ვარდნის საწინააღმდეგო მყარი სალტეებით. მოსაწყვსრიგებელია ელექტრობა;
18. საწარმოო სათავსში მოსაწყობია რაციონალური განათება და არ ხორციელდება განათების გაზომვა;
19. სამუშაო პროცესში გამოყენებული საწარმოო პროცესების მავნე ფაქტორებით (მტვერი, სახვადასხვა აეროზოლები, ნავთობპროდუქტები და სხვა) დაბინძურებული ტანსაცმელი ირეცხება საყოფაცხოვრებო პირობებში (ოჯახში) დასაქმებულების მიერ ინდივიდუალურად, რაც განაპირობებს მეორადი მტვერის და სხვა მავნეობის მესამე პირებთან (ოჯახის წევრები) კონტაქტს;
20. დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილნი სანიტარული ნორმების შესაბამისი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართებით. კვების ბლოკი გამოიყენება მხოლოდ დასაქმებულთა ნაწილის მიერ, ხოლო დანარჩენს ეზღუდება მასზე წვდომა და იკვებება შეუსაბამო ჰიგიენურ პრობებში - საამქროებში მოწყობის მცირე ფარდულის ტიპის ფართებში ან/და უშუალოდ საამქროებში. დასაქმებულთა ნაწილს არ აქვს წვდომა საწარმოს პერიმეტრზე არსებულ საცხოვრებელ კომპლექსში საშხაპებთან და ვერ იცავენ ელემენტარულ ჰიგიენურ ნორმებს. მოუგვარებელია მუშა-მოსამსახურეთა გასახდელების საკითხიც და პრაქტიკულად გასახდელად და გამოსაკვებად ერთიდაიგივე ფართს გამოიყენებენ;
21. ორგანიზაცია არ ახორციელებს სამუშაო ადგილების მიკროკლიმატის მაჩვენებლებზე საწარმოს კონტროლს;
22. ორგანიზაცია არ აწარმოებს სამუშაო სივრცეში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების კონტროლს“.

2017 წლის 29 იანვარს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს¹⁷ და მოითხოვეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. ინფორმაცია, სამინისტროს მიერ რა დასკვნები, შენიშვნები და რეკომენდაციები იქნა გაცემული საქართველოში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში, კერძოდ ა) სამტრედია-გრიგოლეთის 18,5 კილომეტრიანი და ბ) თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული გზის, გ) ქობულეთის შემოვლითი გზის, დ) ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზისა და ე) რიკოთის უღელტეხილთან მისასვლელი გზის (ზემო ოსიაური-ჩუმათელეთი) მიმდინარეობის პროცესში გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან/დადაცვის მიზნით?
2. აკვირდება თუ არა სამინისტრო ამჟამად ზ/აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში გარემოზე გავლენის პროცესს და რა ფორმით ახდენს პრევენციების მიღებას?
3. აქვს თუ არა სამინისტროს შემსრულებელ კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-სთან სათანამშრომლო ურთიერთობა და გაცემულა თუ არა კონკრეტული რეკომენდაციები ზ/აღნიშნულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით კომპანიის მიმართ?
4. სამინისტროს შესაბამის ჯგუფს 2012 წლიდან დღემდე, შეუმოწმებია თუ არა კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ის მიერ სამუშაოების შესრულებისას გარემოს დაცვითი რეგულაციების დაცვის სტანდარტი ზ/აღნიშნულ სამშენებლო ტეროტორიაზე?
5. 2012 წლიდან დღემდე, კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ის მიმართ გამოვლენილ იქნა თუ არა რაიმე სახის დარღვევა, თუკი გამოვლენილ იქნა, რა სახის დარღვევა იყო, როდის და რა პასუხისმგებლობის ფორმა იქნა გამოყენებული;
6. ზ/აღნიშნულ საავტომობილო გზებისა და მაგისტრალების მშენებლობა/რეაბილიტაციის ფარგლებში, სამინისტროს სპეციალური სამსახურს რამდენმა (ადგილობრივმა) მოქალაქემ ან/და ორგანიზაციამ მომართა განცხადებით, გარემოს დაცვითი სტანდარტების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით;

¹⁷ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 29 იანვრის #26 წერილი;

2018 წლის 14 თებერვლის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს #1282/01 წერილის თანახმად¹⁸, ორგანიზაციას ეცნობა, რომ განცხადებაში მითითებულ პროექტებზე, გაცემულ იქნა შემდეგი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები და სამინისტრომ ორგანიზაციას მიაწოდა დასახელებული ყველა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ელექტრონული ასლი.

- საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის (E-60) ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის კმ 11,5-კმ 30,0 მონაკვეთის მნიშვნელობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2014 წლის 9 იანვრის N1 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
- „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ „თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის გზის I მონაკვეთის (თბილისი-ფონიჭალას) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2013 წლის 13 მარტის N9 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
- „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ „თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის გზის III მონაკვეთის (ფონიჭალა-რუსთავი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2013 წლის 13 მარტის N10 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
- „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის (მონაკვეთი 2) მოდერნიზაციის და მშენებლობის“ პროექტის 2017 წლის 17 იანვრის N5 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ქობულეთის შემოვლითი გზის, ქობულეთი-ბათუმის შემოვლითი გზის“ პროექტის 2011 წლის 10 იანვრის N2 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „მონაკვეთი 2: ქობულეთის შემოვლითი გზის (კმ 12+400 - კმ 31+259) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2012 წლის 18 იანვრის N24 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „მონაკვეთი 2: ქობულეთის შემოვლითი გზის (კმ 16+500 კმ 18+860) ცვლილებასთან

¹⁸ 2018 წლის 14 თებერვლის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს #1282/01 წერილი;

დაკავშირებული მშენებლობისა და ექსპლუატაციის” პროექტის 2014 წლის 22 სექტემბრის N45 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის ე-70 სენაკი-ფოთის საავტომობილო გზის, ფოთი-გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის” პროექტის 2017 წლის 9 ნოემბრის N83 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობის” პროექტის 2011 წლის 2 მაისის N5 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ჩქაროსნული საავტომობილო გზის ქუთაისი-სამტრედიის მშენებლობისა და ექსპლუატაციის” პროექტის 2012 წლის 16 მაისის N20 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ქუთაისი-ზესტაფონის ჩქაროსნული საავტომობილო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის” პროექტის 2012 წლის 10 დეკემბრის N 43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „საერთაშორისო მნიშვნელობის ე-60 ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისის გზის არგვეთას სატრანსპორტო კვანძის მშენებლობისა და ექსპლუატაციის” პროექტის 2016 წლის 10 აგვისტოს N38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ადმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის” პროექტის 2015 წლის 29 დეკემბრის N75 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

სამშენებლო სამუშაოების კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-თან სამინისტროს ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ეკოლოგიურ ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობების პროექტებზე გაცემული დასკვნების პირობებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი და სამინისტროს წინაშე ანგარიშვალდებულია შესაბამისი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მფლობელი ორგანიზაცია, ხოლო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, პერიოდული დათვალიერების საფუძველზე,

უზრუნველყოფს ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობების შესრულების მდგომარეობას. რაც შეეხება განცხადებაში აღნიშნულ საავტომობილო გზებისა და მაგისტრალების მშენებლობა/რეაბილიტაციის ფარგლებში, გარემოსდაცვითი სტანდარტების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მომართვიანობის საკითხს, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება, მისი მოცულობიდან გამომდინარე, მოითხოვს გარკვეულ დროს. შესაბამისად, აღნიშნულ ინფორმაციას დამატებით მოგაწვდით”.

2017 წლის 5 თებერვალს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს აჭარის ა/რ მთავრობას¹⁹ და აღნიშნეს, რომ აჭარის მთავრობის დაქვემდებარებაშია საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი და გარემოს დაცვის სამმართველო. ორგანიზაციამ მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაციის მიღება:

1. აჭარის ა/რ მთავრობა მისი ქვემდებარე უწყებების მონაწილეობით, რა ფორმით მონაწილეობს კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ს საქმიანობის შეფასების კუთხით, რა ნებართვები და აკრძალვები იქნა გაცემული კომპანიის სამშენებლო საქმიანობის პროცესში. გთხოვთ, მოგვწოდოთ ყველა ასეთი სახის დოკუმენტური ინფორმაცია;

2. აჭარის ა/რ მთავრობას მისი ქვემდებარე უწყებების მონაწილეობით, კომპანიის მიმართ, ბათუმი (ანგისა)-ახალციხე შიდასახელმწოფოებრივი გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოებისა და ქობულეთის შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობის პროცესში, აქვს თუ არა მიღებული საჯარიმო საქნქციები (ან გაფრთხილება), როდის, რა ოდენობის ფულადი ჯარიმა და აქვს თუ არა გადახდილი კომპანიას დადგენილი ჯარიმა?

3. 2018 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, რა ღონისძიებები განახორციელა აჭარის მთავრობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტმა ან/და გარემოს დაცვის სამმართველომ კომპანიის მიერ სამშენებლო არეალიდან ინერტული მასალის ამოღების ფაქტებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?

4. 2018 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, აჭარის მთავრობის შესაბამისი უწყებების მიმართ, ფიქსირდება თუ არა ადგილობრივი მოქალაქეების განცხადებები კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ს მიმართ საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებზე და მასზე რეაგირების მიზნით?

¹⁹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 5 თებერვლის #34 წერილი;

5. ინფორმაცია, მონაწილეობდა თუ არა აჭარის მთავრობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი ან/და გარემოს დაცვის სამმართველო, კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-სა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კომუნიკაციის პროცესში საიჯარო ხელშეკრულებების დადების მიზნით ან/და საკუთრებაში არსებული მიწების გამოყენების რეგულირების მიმართულებით?

2018 წლის 9 თებერვლის აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის #176/02 წერილით, ორგანიზაციის განცხადება შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილ იქნა აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტისა და აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიმართ²⁰.

2018 წლის 13 თებერვლის აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის #304 წერილის თანახმად²¹, „დეპარტამენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახორციელებს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციას, მოვლა-შენახვას. შესაბამისად, რუისი-აგარის, ბათუმის შემოვლითი გზის, ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის, ძირულა-მოლითის მონაკვეთის რეაბილიტაციის, ბათუმი (ანგისა) ახალციხის, ხულო-ზარზმის მონაკვეთის, ქობულეთის შემოვლითი, სამტრედია-გრიგოლეთის და ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის საერთაშორისო და შიდა-სახელმწიფოებრივი საავტომობილო გზების მშენებლობის ინფრასტრუქტურულ პროექტებში კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ის საქმიანობის, კომპანიაზე დაკისრებული საჯარიმო სანქციების, საკუთრების უფლების დარღვევისა და ინერტული მასალის მოპოვების შესახებ, დეპარტამენტს ინფორმაცია არ გააჩნია“.

2018 წლის 16 თებერვლის აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს #08/117 წერილის თანახმად, ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი²²: „არსებული კანონმდებლობის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

²⁰ 2018 წლის 9 თებერვლის აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის #176/02 წერილი;

²¹ 2018 წლის 13 თებერვლის აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის #304 წერილი;

²² 2018 წლის 16 თებერვლის აჭარის ა/რ მთავრობის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს #08/117 წერილი;

მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებაზე კონტროლი, გასცეს ნებართვები ან ლიცენზიები და დააკისროს საქმიანობის განმახორციელებლებს ჯარიმები. ასევე სამმართველო არ მოწოდებულია საიჯარო ხელშეკრულების დადების და საკუთრებაში არსებული მიწების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით შეხვედრებზე (აღნიშნული კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებით). შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია სამმართველოში არ მოიპოვება. რაც შეეხება განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციის ინერტული მასალის მოპოვების საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალის) მოპოვებაზე ლიცენზიას გასცემს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო სამმართველოსთან შეთანხმებით. ამავე დადგენილების თანახმად, სამმართველო ამზადებს გეოსაინფორმაციო პაკეტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის 24 თებერვლის N01-10/638 კორესპონდენციით, სამმართველოს ეთხოვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. გორგაძეების მიმდებარედ, მდ. ჩაქვის წყალის კალაპოტში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გეოსაინფორმაციო პაკეტის მომზადება. ჩვენი სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა სალიცენზიო ობიექტი მომზადდა შესაბამისი გეოსაინფორმაციო პაკეტი. გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს შავი ზღვის შესართავიდან 2.5 კმ მანძილზე პირდაპირი ხაზით. N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 პუნქტის თანახმად დაუშვებელია ლიცენზიის გაცემა ინერტული მასალის მოპოვების მიზნით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა (გარდა მდინარე რიონის ძირითადი კალაპოტისა და მისი შენაკადებისა) ჭალა კალაპოტებიდან 20 კილომეტრის მანძილზე პირდაპირი ხაზით. შესაბამისად, აღნიშნული დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სამმართველოს მიერ არ იქნა შეთანხმებული ლიცენზიის გაცემა“.

2017 წლის 5 თებერვალს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას²³ და ქობულეთის

²³ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 5 თებერვლის #35 წერილი;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს²⁴. ორგანიზაციამ ადგილობრივი თვითმმართველობიდან მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია/საკრებულო მისი ქვემდებარე სამსახურების/კომისიების მონაწილეობით, რა ფორმით მონაწილეობს კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ს საქმიანობის შეფასების კუთხით, რა ნებართვები და აკრძალვები იქნა გაცემული კომპანიის სამშენებლო საქმიანობის პროცესში ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობის პროცესში. გთხოვთ, მოგვწოდოთ ყველა ასეთი სახის დოკუმენტური მასალა;
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას/საკრებულოს მის ქვემდებარე სამსახურების/კომისიების მონაწილეობით, აქვს თუ არა მიღებული საჯარიმო საქნქციები (ან გაფრთხილება), როდის, რა ოდენობის ფულადი ჯარიმა და აქვს თუ არა გადახდილი კომპანიას დადგენილი ჯარიმა?
3. 2018 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ/საკრებულომ მისი ქვემდებარე სამსახურების მონაწილეობით, რა ღონისძიებები განახორციელა კომპანიის მიერ ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობის პროცესში, ინერტული მასალის ამოღების ფაქტებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?
4. 2018 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში/საკრებულოში ფიქსირდება თუ არა ადგილობრივი მოქალაქეების განცხადებები კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ს მიმართ საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებზე და მასზე რეაგირების მიზნით?
5. ინფორმაცია, მონაწილეობდა თუ არა და რა ფორმით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია/საკრებულო კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-სა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის კომუნიკაციის პროცესში საიჯარო ხელშეკრულებების დადების მიზნით ან/და საკუთრებაში არსებული მიწების გამოყენების რეგულირების მიმართულებით?

2018 წლის 9 თებერვლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #01-46/64 წერილის თანახმად²⁵, ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი სახის ინფორმაცია: „კომპანია „Sinohidro Corporation Limited“-ის საქმიანობის შეფასება და ფულადი საჯარიმო სანქციების დაწესება სცილდება ქობულეთის მუნიციპა-

²⁴ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 5 თებერვლის #36 წერილი;

²⁵ 2018 წლის 9 თებერვლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #01-46/64 წერილი;

ლიტეტის საკრებულოს კომპეტენციას. ინერტული მასალის ამოღებასთან დაკავშირებით, კომპანია მოქმედებდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის N1390 განკარგულებით. რაც შეეხება კომპანიის მხრიდან საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებს, აღნიშნულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქალაქეების მხრიდან განცხადება არ შემოსულა, ხოლო საიჯარო ხელშეკრულებებს აღნიშნული კომპანია მოსახლეობასთან ინდივიდუალურად აფორმებს“.

2018 წლის 16 თებერვლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის #01/1757 წერილის თანახმად²⁶, ორგანიზაციას ეცნობა, რომ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან ჩინური სახელმწიფო კომპანია შპს „კორპორაცია სინოჰიდრო“-ს მიმართ გატარებულია ღონისძიებები. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურმა 2013 წლის 21 მაისს შპს „კორპორაცია სინოჰიდრო“-ს მიმართ სოფელ ბობოყვატში დამხმარე ნაგებობის უნებართვო მშენებლობის ფაქტზე მიიღო N03-02/14 დადგენილება „სამშენებლო სამართალდარღვევის დაჯარიმების შესახებ“, საჯარიმო თანხამ შეადგინა 200 ლარი. ასევე, 2014 წლის 18 თებერვალს, 4 მარტსა და 7 ივლისს შპს „კორპორაცია სინოჰიდრო“-ს მხრიდან გზის საფარის დანაგვიანების ფაქტზე, შეადგინა 3 ოქმი გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119¹ მუხლით, ჯარიმის ოდენობამ ჯამში შეადგინა 1500 ლარი. დაკისრებული ჯარიმები დამრღვევის მიერ გადახდილია“. ორგანიზაციას, აგრეთვე მოეწოდა ზემოთ აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ასლებიც.

2017 წლის 5 თებერვალს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს²⁷ და საქართველოს მთავარ პროკურატურას²⁸. ორგანიზაციამ მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. 2018 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში/საქართველოს მთავარ პროკურატურაში მისი ტერიტორიული ორგანოების გათვალისწინებით, რეგისტრირებულია თუ არა მოქალაქეთა ან/და იურიდიულ პირის განცხადებები/საჩივრები, რომელიც ეხება კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ს საქმიანობის

²⁶ 2018 წლის 16 თებერვლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის #01/1757 წერილი;

²⁷ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 5 თებერვლის #37 წერილი;

²⁸ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 5 თებერვლის #38 წერილი;

შესწავლას ან/და კომპანიის მიერ რომელიმე უფლების სავარაუდო ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნას?

2. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ს საქმიანობის შესწავლის ან/და კომპანიის მიერ რომელიმე უფლების სავარაუდო ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნაზე, როდის იქნა მომართვა რეგისტრირებული, რა ეტაპზეა ამჟამად მოკვლევა, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სავარაუდო დანაშაულის რომელი მუხლის საფუძველზე მიმდინარეობს მოკვლევა და ვინ არის საჩივრის ავტორი - მოქალაქე თუ იურიდიული პირი?

3. იმ შემთხვევაში, თუკი 2018 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით, კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ს საქმიანობის შესწავლის ან/და კომპანიის მიერ რომელიმე უფლების სავარაუდო ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნაზე, შეწყვეტილია სისხლის სამართლის საქმე, მოგვაწოდეთ ინფორმაცია, რა გახდა გამოძიების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები?

2018 წლის 13 თებერვლის საქართველოს მთავარი პროკურატურის #13/10993 წერილის თანახმად²⁹, ორგანიზაციას ეცნობა, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლის სამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან. მოკვლულნი ვართ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას“.

2018 წლის 9 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 5 18 00326253 წერილის თანახმად³⁰, ორგანიზაციას ეცნობა, რომ „შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გადამოწმებისათვის საჭიროა კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი: საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის თარიღი, იურიდიული მისამართი“. ორგანიზაციამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

²⁹ 2018 წლის 13 თებერვლის საქართველოს მთავარი პროკურატურის #13/10993 წერილი;

³⁰ 2018 წლის 9 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 5 18 00326253 წერილი;

მითითებული მონაცემის დაზუსტების შესახებ დამატებით მიმართა 2018 წლის 15 თებერვალს³¹.

2018 წლის 23 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 9 18 00447217 წერილის თანახმად³², ორგანიზაციას ეცნობა, რომ „შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოს“ (ს/კ 404859122) მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება“.

2017 წლის 19 თებერვალს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წერილით მიმართეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და მოითხოვეს განმარტება იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონების დარღვევას დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირების (გოჩა ჩოჩია, ირაკლი ხერგიანი, ზაზა სიმონია) სამუშაოდ იმ უცხოურ სამშენებლო კომპანიებში გადასვლა, რომელმა კომპანიებმაც დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული სხვადასხვა ტენდერები მოიგეს და დასახელებული ყოფილი თანამდებობის პირები უშუალოდ იყვნენ აღნიშნული ტენდერების საკონკურსო კომისიის წევრები. ამასთან, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ კიდევ ერთმა თანამდებობის პირმა, პაატა აბუთიძემ, პირიქით, უცხოური საწარმოს ფილიალი დატოვა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა³³.

1. მოგვაწოდეთ ინფორმაცია, გოჩა ჩოჩიას, ირაკლი ხერგიანის, ზაზა სიმონიას და პაატა აბუთიძის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში საქმიანობის დაწყების პერიოდის, დასრულების პერიოდისა და შრომითი ხელშეკრულების ან/და დანიშვნისა და გათავისუფლების ბრძანების ასლები;

2. ინფორმაცია, გოჩა ჩოჩიას, ირაკლი ხერგიანის, ზაზა სიმონიას და პაატა აბუთიძის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში საქმიანობის პერიოდში, წლების მიხედვით, სატენდერო კომისიებში/საკონკურსო კომისიებში წევრად მონაწილეობის შესახებ;

³¹ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 15 თებერვლის #44 წერილი;

³² 2018 წლის 23 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 9 18 00447217 წერილი;

³³ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2018 წლის 15 თებერვლის #48 წერილი;

3. განმარტება, გოჩა ჩოჩიას, ირაკლი ხერგიანის, ზაზა სიმონიას და პაატა აბუთიძის სამსახურეობრივი მონაცვლეობა, წარმოადგენს თუ არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონების დარღვევას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ?

2017 წლის 23 თებერვალის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის #2-01/2051 წერილის თანახმად³⁴, ორგანიზაციას ეცნობა შემდეგი სახის ინფორმაცია და მიეწოდა განცხადებით დაინტერესებული თანამდებობის პირების შესახებ დანიშვნისა და გათავისუფლების ბრძანებები:

- გივი ჩოჩია დეპარტამენტში საქმიანობის პერიოდში სატენდერო/საკონკურსო კომისიის წევრი იყო 2016 წლის 17 აგვისტოდან 2017 წლის 4 დეკემბრამდე;
- ირაკლი ხერგიანი დეპარტამენტში საქმიანობის პერიოდში სატენდერო/საკონკურსო კომისიის წევრი იყო 2015 წლის 6 ოქტომბრიდან 2017 წლის 18 იანვრამდე;
- ზაზა სიმონია დეპარტამენტში საქმიანობის პერიოდში სატენდერო/საკონკურსო კომისიის წევრი იყო 2017 წლის 6 თებერვლიდან 2018 წლის 1 იანვრამდე;
- პაატა აბუთიძე სატენდერო/საკონკურსო კომისიის წევრი არის 2017 წლის 4 დეკემბრიდან დღემდე.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტება არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. აღნიშნული კანონები წარმოდგენილია საკანონმდებლო მაცნის ვებ-გვერდზე და ნებისმიერ პირს შეუძლია იხილოს მისი შესაბამისი რედაქციები და განმარტოს იგი.

³⁴ 2017 წლის 23 თებერვალის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის #2-01/2051 წერილი;

დეპარტამენტი არ წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელსაც აქვს კანონის ოფიციალური განმარტების უფლება. ფაქტი, რომ გივი ჩოჩიას, ირაკლი ხერგიანისა და ზაზა სიმონიას დეპარტამენტიდან გათავისუფლების შემდეგ, მათი შესაბამის კერძო სამართლის სუბიექტებში დასაქმების ფაქტობრივი გარემოება და პაატა აბუთიძის შესაბამისი კერძო სამართლის სუბიექტიდან გათავისუფლების შემდეგ, მისი დეპარტამენტში დასაქმების ფაქტობრივი გარემოება, არ ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონებს. ამასთან, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებს „ინტერესთა კონფლიქტის“ ცნებას, ხოლო რაც შეეხება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობას“, აღნიშნულს ზემოხსენებულ შემთხვევებში ადგილი არ ჰქონია.

3. სამართლებრივი შეფასება/დასკვნა

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის საინვესტიციო ბანკსა (EIB) და საქართველოს სახელმწიფოს შორის 2012 და 2013 წელს გაფორმდა ორი ფინანსური ხელშეკრულება, რაც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2012 წლის 5 ივნისისა და 2014 წლის 20 თებერვლის დადგენილებებით. 2012-2013 წლებში დადებული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 592,140,000 ევროს (ხუთას ოთხმოცდათორმეტ მილიონ ას ორმოცი ათასი ევრო), საიდანაც საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შეადგენდა 22.14 მლნ. ევროს, ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი - 200 მლნ. ევრო, აზიის განვითარების ბანკიდან გამოყოფილი კრედიტი - 200 მლნ. ევრო, იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოდან - 150 მლნ. ევრო, NIF 20 მლნ. ევრო. წინამდებარე ხელშეკრულებით საქართველომ იკისრა არ მხოლოდ კრედიტის მიღების, არამედ გაცემული თანხის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენების ვალდებულება. ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებულია, რომ კრედიტის გამცემი სრულად უნდა იყოს ინფორმირებული დაფინანსებული პროექტებიდან ისეთი რისკის შემცველი გარემოებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვით თუ სოციალურ რისკებთან, ადამიანების უფლებების დარღვევასთან. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტები სრულად გამჭვირვალე უნდა იყოს, როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებისთვის და შეესაბამებოდეს საერთო ინტერესებს.

ორგანიზაციამ წინამდებარე კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ჩინური სახელმწიფო კომპანია „სინოჰიდრო“ მონაწილეობას იღებდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ რვა საერთაშორისო ტენდერში, სადაც გამარჯვებული გახდა სამ ტენდერში. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2012-2017 წლებში, ჩინურ კომპანიასთან გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. ხელშეკრულება #RCIP/CW/ICB-02 ქობულეთის შემოვლითი გზის კვ 12+400-კმ31+259 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი II) ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 26 ნოემბერი, 2012 წელი, ხელშეკრულების ღირებულება: 209,852,079.67 ლარი;

2. ხელშეკრულება #GEWH/CW/ICB-02 სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კვ11+500-კვ30+000 (ლოტი II) მონაკვეთის მშენებლობა.

ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 13 ოქტომბერი, 2015 წელი,
ხელშეკრულების ღირებულება: 253,979,678.24 ლარი;

3. ხელშეკრულება #EWHCIP/CW/ICB-01 E-60 ავტომაგისტრალის ზემო
ოსიური-ჩუმათელეთის კვ0+000კვ5+800 მონაკვეთის მშენებლობა (ლოტი I).
ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 14 სექტემბერი, 2017 წელი,
ხელშეკრულების ღირებულება: 133,530,690.63 ლარი.

ორგანიზაციამ შეისწავლა Forbes-ის რეიტინგი, რომლის მიხედვითად დადგენილია, რომ „Sinohydro Group Limited“ გლობალური ზრდის ინდექსის მიხედვით, მსოფლიო კორპორაციებს შორის 226-ე ადგილს იკავებს 16.5 მილიარდიანი წლიური ბრუნვით, ხოლო მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიათა შორის 352-ე ადგილზეა 34.6 მილიარდიანი აქტივებით. კომპანია 2009 წელს დააარსდა, მისი სათაო ოფისი მდებარეობს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში, თუმცა კომპანია მსოფლიოს მასშტაბითაა ჩართული სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებში, უძრავი ქონების დაგეგმარებაში, ხოლო ძირითადი საქმიანობა მიმართული ჰიდრო რესურსების გამოყენების სფეროში. კომპანია, რომელსაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემა Financial Times ჩინური ექსპანსიის ერთ-ერთ სახეს უწოდებს, მსოფლიოს მასშტაბით საკმაოდ ბევრ სკანდალშია გახვეული. Sinohydro Corporation Limited ჩინეთსა და მსოფლიოს 55 ქვეყანაში ერთდროულად საქმიანობს და მისი ფინანსური ანგარიშების ღირებულება 19 მილიარდი დოლარია. საერთაშორისო ორგანიზაცია International Rivers-მა, Sinohydro-ს უკვე უწოდა მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებელი, რადგან აღნიშნულ კომპანია მსოფლიოში მიმდინარე ჰესების მშენებლობების 50%-ში უშუალოდ მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ ჩინური კომპანიების ჩართულობა გამორჩეულია განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში და აღმოსავლეთ ევროპაში. 2006 წლიდან მოყოლებული, ჩინური ინვესტიცია აფრიკაში ძალიან სწრაფად იზრდება. მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, უმეტესწილად ჩინური ინვესტიცია მიედინება ინფრასტრუქტურის სექტორში, მეტწილად ჰიდროენერგიაში, რკინიგზასა და ტელეკომუნიკაციებში, თუმცა, ჰიდროენერგიის პროექტები გამუდმებული კრიტიკის საგანია ნეგატიური გავლენის გამო ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. საქართველო არ არის პირველი ქვეყანა, სადაც კომპანიას აქვს პრობლემები, ეროვნულ მთავრობებს აქვს სამართლებრივი პრეტენზიები და კომპანია დადანაშაულებულია ვალდებულებების არაკეთილსინდისიერ შესრულებაში. მაგალითად, საერთაშორისო მედიის მიხედვით:

- *ყირგიზეთში* ნარინ-ტორუგატის ავტომაგისტრალის მონაკვეთის უხარისხო მშენებლობისა და ამ პროცესში გამოვლენილი დარღვევების გამო, „Sinohydro Group Limited“, 2,2 მილიონი დოლარით დააჯარიმეს. ადგილობრივი მოსახლეობა უკმაყოფილო დარჩა ჩინური კომპანიის მუშაობის ხარისხით და იმ ფაქტით, რომ ბიშკეკი-ნარინი-ტორუგატის გზის მონაკვეთზე ჩინელებმა ნაგავსაყრელები მოაწყვეს³⁵.
- *სომხეთის* მთავრობამ Sinohydro Group Limited გააფრთხილა „ჩრდილო-დასავლეთის“ მაგისტრალის ტალინ-ლანჯიკის და ლანჯიკი-გიუმრის მონაკვეთებზე უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო. სომხეთის ტრანსპორტის მინისტრის თქმით, მშენებლობის მაკონტროლებელმა ორგანიზაციებმა ბევრი დარღვევა და ხარვეზი აღმოაჩინეს, რომლებიც სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას. მისი თქმით, სამუშაოები ვერ გაგრძელდება, თუ „სინოჰიდრო“ შეცდომებს არ გამოსწორებს და მომავალში მსგავსი შეცდომების საშიშროება იქნება³⁶.
- *მალაიზიის* ქალაქ სარავაკში SinoHydro-ს მიერ აშენებული Bakun-ის ჯებირი, Transparency International და International Rivers-ის აღწერით, „კორუფციის მონუმენტს“ წარმოადგენს. კაშხლის ჯებირი, რომელიც 50 წლის განმავლობაში შენდებოდა, ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლების მიზეზი გახდა. ჰესის ჯებირის აშენების შემდეგ, მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, შემზარავი ცნობები გავრცელდა. ინფორმაცია შეიცავს დოკუმენტებს, ფოტოსურათებსა და ვიდეომასალას, რომლის მიხედვითაც, კომპანია Sinohydro-ს ხელმძღვანელები უდიერად ეპყრობოდნენ მშენებლობის პროცედურებს და საუბარი ეხებოდა მშენებლობის ბიუჯეტიდან თანხების მითვისებაზე. ვიდეომასალაში წარმოჩენილია, რომ მასალის დაზოგვის მიზნით, მუშები ცემენტში საჭიროზე მეტი მოცულობის წყალს ასხამენ, რამაც მშენებლობის ხარისხი შეამცირა³⁷.
- *ბოცვანას* რესპუბლიკაში, აეროპორტის მშენებლობის გაფართოების პროექტის მსვლელობისას, Sinohydro კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. აეროპორტის პროექტის შესახებ კონტრაქტის გაწყვეტის დროს, Sinohydro-ს უკვე დასრულებული ჰქონდა სამუშაოების 90% და დაახლოებით 527 მილიონი კი თანხის სახით მიღებული.
- *უგანდას* რესპუბლიკაში სკანდალი გამოიწვია Sinohydro-ს მიერ საგზაო-ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში დასაქმებული მუშების მიმართ კანონსაწინააღმდეგო ხასიათის ხელშეკრულებების შეთავაზების ფაქტმა. გამოძიებამ, რომელიც აფრიკის განვითარების ბანკის ჯგუფმა

³⁵ <http://www.turmush.kg/news:114517>

³⁶ <https://www.panorama.am/am/news>

³⁷ www.sarawakreport.org/2011/04/bakun-dam-unsafe-exclusive-evidence-on-corner-cutting-and-sloppy-construction-practices

ჩაატარა, ცხადყო, რომ არსებობდა Sinohydro-ს ჩართულობა თაღლითურ პრაქტიკაში. შესაბამისად, 2017 წლის ივნისში, აფრიკის განვითარების ბანკმა Sinohydro შავ სიაში შეიყვანა. 2013 წელს, Sinohydro-ს კორპორაციამ მონაწილეობა მიიღო ტენდერში, რათა შეესრულებინა ბანკის მიერ დაფინანსებული საგზაო სექტორის მხარდაჭერის პროექტი უგანდაში³⁸.

- *ზიმბაბვეს* რესპუბლიკაში, კარიბას ენერგო გაფართოების 533 მილიონიანი პროექტი კიდევ მეტ გაურკვევლობაში გაეხვა მას შემდეგ, რაც ბოცვანას პარლამენტის ერთ-ერთი წევრი, სასამართლოში იქნა დაბარებული ქრთამისა და კორუფციის ბრალდებებით, ხსენებული პროექტიდან მისთვის 10 მილიონის გადარიცხვის გამო. ამ პარლამენტის წევრის ბიზნეს-პარტნიორი, ბოცვანას ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, რომელიც ასევე ბოცვანას პრეზიდენტის მეგობარია, ჩართული აღმოჩნდა სკანდალში, რის შესახებაც მიმდინარეობს გამოძიება. გუმას (პარლამენტის წევრი) განცხადებით, მან კონსულტაციები გასწია კონსტრუქციის საკითხებზე და ამიტომაც მოხდა Sinohydro Corporation-ის მხრიდან მისთვის მილიონების გადარიცვა, თუმცა ბოცვანას მაღალჩინოსნებმა გამოიძიეს პარლამენტარის ჩართულობა კორუფციულ საქმიანობაში და მისი ანგარიშები გაყინეს. როგორც მედია გადმოსცემს, პარლამენტარს მნიშვნელოვანი კონტაქტები აქვს მთელ ქვეყანაში და გააჩნია სამთო რესურსების მოპოვების ინტერესებიც. კითხვები პროექტთან დაკავშირებით, გაჩნდა სტრუქტურული ხარჯების ნაწილშიც, თუმცა ენერგეტიკისა და ფინანსთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ მომატებული ფასის მიზეზი ინფლაცია გახდა. ისინი ინფლაციას უკავშირებენ 370-მილიონი დოლარის ღირებულების გაზრდას 533-მილიონამდე, ანუ 163 მილიონიან სხვაობას, თუმცა გაჩნდა ეჭვები, რომ ეს სხვაობა გამომდინარეობდა კორუფციული კავშირებიდან მთავრობის წევრებსა და მათ მოკავშირეებს შორის.

ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო საერთაშორისო გამოცემებში Sinohydro Corporation-თან დადასტურებულ შემთხვევებს, რომელიც დაკავშირებული აღმოჩნდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში, დასაქმებული პირების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებთან. მიუხედავად არაერთი სკანდალისა, Sinohydro Corporation-თან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მაინც იმ მსხვერპლის ოდენობაა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში, სამშენებლო სამუშაოების პერიოდში დგება. უბედური შემთხვევების შედეგად, ადამიანური მსხვერპლი, უხარისხო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობები ჩინელი კონტრაქტორების მიერ *უგანდაში*, განსაკუთრებული ყურადღების მიზეზი გახდა, რაც საკმაოდ სერიოზულ საკითხებს აღძრავს. Sinohydro-სთან დაკავშირებული უკანასკნელი მოვლენებიდან ირკვევა, რომ

³⁸ <https://www.herald.co.zw/afdb-blacklists-sinohydro>

კარუმას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მშენებლობისას, როგორც The Independent-ის გამოძიებამ დაადასტურა, არსებობს გაუხმაურებელი მსხვეპლი, რომელიც საფრთხის შემცველი სამუშაო გარემოს შედეგია. კომპანიასა და უგანდის მთავრობას შორის კორესპონდენციის კვლევამ სავალალო შედეგები აჩვენა. მიმოწერამ ცხადყო, რომ მუშები ხშირად ზიანდებიან მშენებლობის ნამსხვრევებისგან, რაც შეეხება სანიტარულ მდგომარეობას, ის კატასტროფულია, მუშები ასევე ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემენ მაღალი ძაბვის მატარებელ სადენებს. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ექსპერტის ცნობით, კარუმას ელექტროსადგურში მხოლოდ 1 თვეში 30-მდე უბედურ შემთხვევათაგან ზოგიერთი ფატალურად დასრულდა და მათი თავიდან აცილება შეუძლებოდა. მას მოჰყავს ერთ-ერთი მუშის მაგალითი, რომელიც კარუმას სადგურზე ქვის ნამსხვრევების მოხვედრის შედეგად დაიღუპა. ასევე, ზოგიერთი შემთხვევა ადასტურებს, რომ კომპანია ჩქმალავს ადამიანების დაშავებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს. გამოკვლეული იქნა 3 შემთხვევა, რომლის მიხედვითაც, დაშავებული მუშების ჰოსპიტალში მიყვანის შემდეგ, ისინი დაშავებულების სტატუსით არ ჩაწერილან, რათა სამუშაოების პერიოდში დაზიანებულად არ დაფიქსირებულიყვნენ³⁹.

ორგანიზაციის კვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ „Sinohydro Group Limited“-ის საქმიანობა, რომელიც ეხება მშენებლობის პროცესში დასაქმებულ პირთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებას, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფა სახელმწიფოსთან ერთად, თანაბრად გადანაწილებულია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებისთვის. საქართველოს შრომის კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე. დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პრევენციული სისტემა და დროულად მიაწოდოს დასაქმებულს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციის ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ,

³⁹ <http://allafrica.com/stories/201612120054.html>

აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს დასაქმებული პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დროულად შეცვალოს უსაფრთხოთი ან ნაკლებად სახიფათოთი, მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისათვის და მისი ჯანმრთელობის დასაცავად. დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ „Sinohydro Group Limited“-ს საქართველოში საქმიანობის მიმდინარეობისას, გააჩნია სისტემური ხარვეზები და პრობლემები, რაც დაკავშირებულია დასაქმებული მოქალაქეების ჯანმრთელობის, სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვასთან, კომპანიის საქმიანობა კონფლიქტში მოდის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის უსაფრთხოების პრინციპებთან და დაცული არ არის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში საქართველოს კანონმდებლობა.

ორგანიზაციის კვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ Sinohydro-ს საქართველოს ფილიალში არასრულფასოვნადაა დანერგილი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა. კომპანიამ ვერ წარმოადგინა თანამდებობრივი და საწარმოო ინსტრუქციები. ბუნდოვანი აღმოჩნდა ინსტრუქტაჟის ჩატარების წესი და შინაარსი. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი საუბრობს დასაქმებულთათვის უცხო ენაზე, რაც იწვევს ეფექტური კომუნიკაციის დეფიციტს. აღნიშნული განაპირობებს შრომის დაბალ კულტურასა და არაჯანსაღ სამუშაო პროცესს. დასაქმებულები არ გადიან სავალდებულო პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას. სამუშაო ადგილები არ არის მომარაგებული პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით. საწარმოში მოსაწყესრიგებულია სახანძრო უსაფრთხოება, ელექტროუსაფრთხოება. საწარმოს ტერიტორიაზე და სამუშაოებში არ არის საკმარისი რაოდენობის და შესაბამისი ხასიათის მქონე ამკრძალავი, სავალდებულო, სარეკომენდაციო და დამხმარე ხასიათის ნიშნები. ჟანგბადის და პროპანის ავზები მიმოფანტულია საწარმოს ტერიტორიაზე უკონტროლოდ. ექსპლუატაციაში მყოფ მაღალი წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობებს არ უტარდება ტექნიკური შემოწმება უსაფრთხოების კომპონენტზე. საწარმოს ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარები და სანიაღვრე არხი არ არის შემოღობილი ჯებირებით, შესაძლებელია პერსონალის ჩავარდნა და ტრავმირება. საწარმოში წარმოქმნილი ნახშირი წყლები გაედინება ყოველგვარი გაწმენდა-გაუვნებლობის გარეშე. საწარმოს კუთვნილი მძიმე ტექნიკის ნაწილი საჭიროებს ტექნიკურად სრულ გამართვას. ამწე-მოწყობილობების ტექნიკური გამართულობა გაურკვეველია. კომპანიამ ვერ წარმოადგინა ტექნიკური შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. არმატურის

საამქრო წარმოადგენს არაკაპიტალურ, ტენტიტ ნაწილობრივ გადახურულ ფარდულს. შიდა და გარე პერიმეტრი გადატვირთულია სამრეწველო მასალით (არმატურით), ერგონომიკა მოუწესრიგებელია, დასაქმებულები მუშაობენ სამოქალაქო ტანსაცმელში, იდს-ების გამოყენების გარეშე, ელექტროგაყვანილობა მოსაწესრიგებელია. პრაქტიკულად, უგულებელყოფილია შრომის დაცვის მინიმალური ნორმები. საწარმოო პროცესები არამექანიზმებულია და არ არის გათვალისწინებული ნაკადულობა. დასაქმებულებს სპეცტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ეძლევათ დაგვიანებით (სამითვის ვადის გასვლის შემდეგ), არასრული კომპლექტაციით და უხარისხო. პერსონალი საწარმოო სივრცეში გადაადგილდება და დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს სამოქალაქო ტანსაცმლით, იდს-ების გარეშე. სპეციალურ სამუშაოებს ასრულებენ სათანადო აღჭურვილობის გარეშე. საწარმოს პერიმეტრი საჭიროებს კეთილმოწყობასა და დასუფთავებას. ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე პერიმეტრზე, მოუწყობელ პოლიგონზე წარმოებს ორგანიზაციის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე. სასადილო არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს, მოსაწყობია ეფექტური სავენტილაციო სისტემა. შენობის კედლები დაფარულია სოკოს ფენით. არ არის სრულად გათვალისწინებული სურსათის უვნებლობის წესები. არ მოწმდება კვების ბლოკში დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. საწარმოო სათავსებში ადგილი აქვს თამბაქოს მოხმარებას. ბეტონის საამქროში სამუშაო ადგილი მოწყობილია უშუალოდ ბეტონის ჩამომსხმელ დანადგარის სივრცეში. მოწყობილობების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ვიბრაცია, მტვერის წარმოქმნა, ხმაური. საწარმოო პროცესში გამოიყენება მოვიბრირე ხელის იარაღი. არ არის გათვალისწინებული მოწყობილობა სამუშაო ტანსაცმლის გაუმტვერიანებისათვის, არ გამოიყენებენ იდს-ებს: რესპირატორს, სმენის ორგანოს დამცავს, ვიბრომომამიხოლირებელ ხელთათმანებს, სათვალეს/ფარს. სიმაღლეზე ამსვლელი კიბეები არ არის შემოფარგლული ვარდნის საწინააღმდეგო მყარი სალტეებით. მოსაწესრიგებელია ელექტროობა. საწარმოო სათავსში მოსაწყობია რაციონალური განათება და არ ხორციელდება განათების გაზომვა. სამუშაო პროცესში გამოყენებული საწარმოო პროცესების მავნე ფაქტორებით (მტვერი, სახვადასხვა აეროზოლები, ნავთობპროდუქტები და სხვა) დაბინძურებული ტანსაცმელი ირეცხება საყოფაცხოვრებო პირობებში (ოჯახში) დასაქმებულების მიერ ინდივიდუალურად, რაც განაპირობებს მეორადი მტვერის და სხვა მავნეობის მესამე პირებთან (ოჯახის წევრები) კონტაქტს. დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილნი სანიტარული ნორმების შესაბამისი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართებით. კვების ბლოკი გამოიყენება მხოლოდ დასაქმებულთა ნაწილის მიერ, ხოლო

დანარჩენს ეზღუდება მასზე წვდომა და იკვებება შეუსაბამო ჰიგიენურ პრობებში - საამქროებში მოწყობის მცირე ფარდულის ტიპის ფართებში ან/და უშუალოდ საამქროებში. დასაქმებულთა ნაწილს არ აქვს წვდომა საწარმოს პერიმეტრზე არსებულ საცხოვრებელ კომპლექსში საშხაპებთან და ვერ იცავენ ელემენტარულ ჰიგიენურ ნორმებს. მოუგვარებელია მუშა-მოსამსახურეთა გასახდელების საკითხიც და პრაქტიკულად გასახდელად და გამოსაკვებად ერთიდაიგივე ფართს გამოიყენებენ. კომპანია არ ახორციელებს სამუშაო ადგილების მიკროკლიმატის მაჩვენებლებზე საწარმოს კონტროლს. კომპანია არ აწარმოებს სამუშაო სივრცეში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების კონტროლს.

ორგანიზაციამ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერების შესწავლისა და შეფასების პროცესში დაადგინა, რომ დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები სამუშაოდ იმ უცხოურ სამშენებლო კომპანიებში გადავიდნენ, რომლებმაც გამოცხადებული ტენდერები მოიგეს და სატენდერო კომისიის წევრები დღეს ამ კომპანიაში დასაქმებული დეპარტამენტის ყოფილი თანამდებობის პირები იყვნენ. ორგანიზაციის შესწავლით, აღნიშნული პირები არიან გივი ჩოჩია, ირაკლი ხერგიანი, ზაზა სიმონია, ხოლო კიდევ ერთმა თანამდებობის პირმა, პაატა აბუთიძემ, პირიქით, უცხოური საწარმოს ფილიალი დატოვა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გახდა. შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე დადგენილია:

- გივი ჩოჩია საქმიანობდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. ამჟამად, საქმიანობას აგრძელებს თურქულ კომპანიაში: „POLAT YOL & MAPA“. აღნიშნული კომპანია ახორციელებს ბათუმის შემოვლითი გზის სამშენებლო საქმიანობას. გოჩა ჩოჩია მონაწილეობდა იმ სატენდერო კომისიის წევრად, რომლის გადაწყვეტილებითაც, ტენდერში გამარჯვებული თურქული კომპანია გახდა;

- ირაკლი ხერგიანი საქმიანობდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. ამჟამად, საქმიანობას აგრძელებს DOHWA Consulting Engineers Co, Ltd. აღნიშნული კომპანია ზედამხედველობას უწევს თბილისი-რუსთავის გზის, ქობულეთის შემოვლით გზის და საქართველოს 10 შიდა და მეორადი გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, მათ შორის კომპანია „Sinohydro Corporation Limited“ მიერ მიმდინარე სამშენებლო პროექტებს. ირაკლი ხერგიანი მონაწილეობდა იმ სატენდერო და საკონკურსო კომისიის წევრად, რომლის გადაწყვეტილებითაც, „Sinohydro Corporation Limited“ გახდა მილიონიან პროექტებში გამარჯვებული კომპანია.

- ზაზა სიმონია საქმიანობდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. ამჟამად, საქმიანობას აგრძელებს კომპანიაში: „Sinohydro Corporation Limited“. ზაზა სიმონია მონაწილეობდა იმ სატენდერო კომისიის წევრად, რომლის გადაწყვეტილებითაც, „Sinohydro Corporation Limited“ გახდა მილიონიან პროექტებში გამარჯვებული კომპანია.

- პაატა აბუთიძე ამჟამად საქმიანობს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, თუმცა მანამდე მუშაობდა უცხოური საწარმო ფილიალის სს ინსტიტუტი „იგპ“-ს მმართველი დირექტორის თანამდებობაზე, რომელიც დატოვა. დადგენილია პაატა აბუთიძის, დეპარტამენტის მოქმედი თავმჯდომარის გიორგი სეთურიძესა და დეპარტამენტის მოქმედი თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, გივი ჩოჩიას შორის ახლო, სამსახურეობრივი და ბიზნესში პარტნიორული ურთიერთობები. პაატა აბუთიძის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის პერიოდში ტენდერებში გამარჯვებული აღმოჩნდა ის ხორვატიული კომპანია, რომელშიც უკანასკნელად მუშაობდა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განხორციელებული საკადრო გადადგილებები მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებისა და სატენდერო კომისიის წინასწარ დაინტერესებაზე. ამასთან, არსებული ვითარება კითხვებს აჩენს, თუ რამდენად იქნა სამართლიანი კონკურენცია დაცული და შესაძლო კორუფციული გარიგებების რისკებს კიდევ უფრო მეტად აღრმავებს. ამასთან, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ დარღვეულია კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, რომლის თანახმადაც, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით: „განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, განთავისუფლების დღიდან 1 წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს იმ საჯარო დაწესებულებაში ან საქმიანობას ახორციელებდეს იმ საწარმოში, რომელსაც იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე უფლება არა აქვს, მიიღოს შემოსავალი ასეთი საჯარო დაწესებულებიდან ან საწარმოდან“.

ორგანიზაციამ კვლევის პროცესში დაადგინა, რომ კომპანია „სინოჰიდრო“ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზას სავალდებულო ნებართვებისა და ექსპერტიზის დასკვნის გარეშე, უკანონოდ აშენებდა, კერძოდ, 2016 წლიდან სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კვ.11+500-კმ.30+000 (ლოტი II) მონაკვეთზე მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ნებართვებისა და

საექსპერტო დასკვნის გარეშე, უკანონოდ მიმდინარეობდა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი სახელმწიფოს შესაბამის კომპეტენტურ უწყებებთან ნებართვების მიღების გარეშე შეცვალა. თავდაპირველად, პროექტით განისაზღვრა, რომ ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენდა ჭაობიან ადგილს, გზა აშენდებოდა ბეტონის ხიმინჯებზე. კომპანიამ პროექტში ცვლილებები მოითხოვა და ტერიტორიაზე ფიტილები დამონტაჟდა, თუმცა ფიტილების გამოყენებით გზის მშენებლობამ შედეგი არ გამოიღო. მივიღეთ შედეგი, როდესაც სამტრედია-გრიგოლეთის მეორე ლოტის მშენებლობა სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს. პროექტზე განსაზღვრულ 254 მილიონი ლარიდან, დახარჯულ იქნა 150 მილიონ ლარზე მეტი, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, პროექტში თავის დროზე განხორციელებული ცვლილების სამართლებრივი საფუძვლების შექმნისთვის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მხოლოდ 2018 წელის 18 იანვარს მიმართა, რაც კანონის უკიდურესი დარღვევაა.

ორგანიზაციის შეფასებით, კომპანია „Sinohydro Corporation Limited“ და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დარღვეულ იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება. ეს დადგენილება მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს. კერძოდ, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. იმ შემთხვევაში, როდესაც მშენებლობას ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვა არ გაიცემა და მათ მიერ მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესი დგინდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით, ხოლო 2010 წლის 25 მაისის მინისტრის #1-1/842 ბრძანების თანახმად, მშენებლობის თაობაზე შეთანხმების შესახებ გამოიცემა სათანადო ადმინისტრაციული აქტი, რომელიც წარმოადგენს მშენებლობის განხორციელების საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების იურიდიული ძალა განისაზღვრება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ ორგანოთა (თანამდებობის პირთა) იერარქიის შესაბამისად. საქართველოში საავტომობილო გზები დაყოფილია სამ კატეგორიად. 1-ელ კატეგორიას განეკუთვნება საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა, მე-2 კატეგორიას განეკუთვნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა, ხოლო მე-3 კატეგორიას ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა. საავტომობილო გზების დაყოფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გზის მშენებლობის პროცესში მშენებლობის რისკ ჯგუფის შეფასება და მის შესაბამისად სამშენებლო ნებართვის სპეციალური რეგულაციის განსაზღვრა.

მოცემულ შემთხვევაში, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, 1-ელ კატეგორიას განეკუთვნილი საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა, ასევე ხიდები და გვირაბები განეკუთვნება მე-5 კლასის შენობა-ნაგებობას, რომელიც მიჩნეულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებად. განსახილველ შემთხვევაში, „სინოჰიდროს“ მიერ სამტრედია-გრიგოლეთის აშენებული გზა განეკუთვნება 1-ელ კატეგორიას, საერთაშორისო სტატუსის ქვეშ და იმავდროულად, გზაზე არსებული ხიდების გამო, შედის მე-5 კლასის დაცვის განსაკუთრებულ ზონაში. ამდენად, მთავრობის დასახელებული დადგენილების 27-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კომპანია „სინოჰიდრო“ ვალდებული იყო სამშენებლო ობიექტზე სავალდებულო საექსპერტო შეფასება წარმოედგინა.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის თანახმად, საავტომობილო გზა განეკუთვნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს, ვინაიდან არასწორმა ექსპლუატაციამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ასეთ შემთხვევაში, სამშენებლო პროექტში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილება საჭიროებს საექსპერტო დასკვნას. საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისას, გათვალისწინებული პროექტის განხორციელების ზედამხედველობაზე ამავე საფინანსო ორგანიზაციასთან შეთანხმებით შერჩეულ უნდა იქნეს კომპანიის სამშენებლო საქმიანობის ექსპერტ/კონსულტანტი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების 2010 წლის 25 მაისის მინისტრის #1-1/842 ბრძანების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი საკმაოდ ბუნდოვანია და არ

აკონკრეტებს გარემოებებს, თუ როდის უნდა განხორციელდეს ცვლილების შეთანხმება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებები ფართოდ და მეტი ყურადღებით იქნეს შეფასებული, მაშინ როდესაც საკითხი ეხება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს. კერძოდ, მე-4 ან/და მე-5 კლასის მშენებლობის ნებართვას, რომელიც ითვალისწინებს საავტომობილო გზის მშენებლობას. ვინაიდან სახეზეა არასრული საკანონმდებლო მოწესრიგება, ასეთ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს მსგავსი წესების მარეგულირებელი აქტი - „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილება, რომელიც წარმოდგენილი ბრძანებისგან განსხვავდება მხოლოდ შემსრულებელი სუბიექტით და არა შესასრულებელი სამუშაოს მოცულობით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ გათვალისწინებულ იქნეს წარმოდგენილი რეგულაციები.

აღნიშნული დადგენილების თანახმად, თუკი ცვლილების შეტანამდე განხორციელებულია მშენებლობა, რომელიც საჭიროებს შესაბამის ნებართვას, ასეთი მშენებლობა ითვლება უკანონოდ. ასეთ შემთხვევაში, უკანონოდ წარმოებული მშენებლობის გასაგრძელებლად, საჭიროა ახალი ნებართვის მოპოვება, რომელსაც უნდა ახლდეს დადებითი საექსპერტო დასკვნა, ამასთან გადახდილი ჯარიმები უკანონოდ წარმოებული მშენებლობისთვის.

ორგანიზაციის შეფასებით, მოცემული რეგულაცია არის ზუსტად იმ შემთხვევის მომწესრიგებელი, რომელსაც არ ითვალისწინებს სპეციალური კანონი. შესაბამისად, ვინაიდან საკითხი ეხება ისეთი ობიექტის მშენებლობას, რომელიც კანონის თანახმად აღიარებულია მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტად და რომლის არასწორმა ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზიანი ადამიანების უსაფრთხოების კუთხით, უნდა განიმარტოს საჯარო ინტერესიდან გამომდინარე საზოგადოების სასარგებლოდ.

რაც ეხება მინისტრის ბრძანებას, სამინისტროს ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მიერ სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის რეგულაცია დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც ცვლილება ხორციელდება იმ მშენებლობის დაწყებამდე, რომელიც არ მოიცავს ცვლილებით გათვალისწინებულ მშენებლობას, ხოლო თუკი წარმოებულია უკანონო მშენებლობა, ამ შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესებიდან, სანდოობიდან და უსაფრთხოებიდან გამომდინარე, აუცილებელია დადებითი საექსპერტო დასკვნა.

დღეს არსებული ვითარება შემდეგია: ჩინურ კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ს არ გააჩნია არც სამხარაულოს სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა და საქართველოს გზების დეპარტამენტის საბჭოს არც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარუდგენია დადებითი დასკვნა. შესაბამისად, კომპანია „Sinohydro Corporation Limited“-ის მიერ 2016 წლიდან სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მონაკვეთზე მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ნებართვებისა და საექსპერტო დასკვნის გარეშე, შეიძლება შეფასდეს, როგორც უკანონოდ მიმდინარე.

ორგანიზაციამ კვლევის პროცესში, აგრეთვე შეისწავლა კომპანიის საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და უკანონოდ მოპოვებული რესურსების შედეგად, გარემოზე მიყენებული ზიანის ამსახველი ფაქტები. ორგანიზაციამ მოახდინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი, რომლითაც დგინდება, რომ კომპანია „სინოჰიდროს“ მიერ კანონდარღვევის ფაქტებს გააჩნია სისტემური დანაშაულის ხასიათი, სამართალდარღვევის ფაქტები მოიცავს პერიოდს 2013 წლის 6 ივნისიდან 2017 წლის 6 ნოემბრის მდგომარეობით, ხოლო უკანონოდ მოპოვებული რესურსების, კერძოდ, ხე-ტყის უკანონოდ განადგურებისა და ინერტიული მასალის ამოღების ფაქტები 2014 წლის 29 აპრილიდან 2017 წლის 11 სექტემბრის მდგომარეობით პერიოდს.

ორგანიზაციის მიერ შესწავლილი მასალის თანახმად, დადგენილია უკანონოდ მოპოვებული რესურსის - ხე-ტყის უნებართვოდ განადგურებისა და ინერტიული მასალის უკანონოდ ამოღების შემდეგი ფაქტები:

- ქ. რუსთავის მიმდებარედ, თბილისი-წითელი ხიდის ავტომაგისტრალის, თბილისი-რუსთავის გზის III მონაკვეთის მშენებლობის ტერიტორიაზე, 2014 წლის 29 აპრილს და 30 მაისს, გამოვლენილ იქნა 841 ძირი სხვადასხვა სახეობის ხეების ჭრის ფაქტი;
- „თბილისი-წითელი ხიდი“ გზის „თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციის“, თბილისი ფონიჭალას პირველი მონაკვეთის პროექტის განხორციელების დროს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი 14 ძირი კაკლის ხის ბუნებრივი გარემოდან უკანონოდ მოპოვება;
- კომპანიის მიერ ლიცენზიით განსაზღვრული სამთო მინაკუთვნის 27 200 მ2 (2,72 ჰა) ფართობის ნაცვლად, მოპოვებითი სამუშაოები განხორციელებულია 31 587,34 მ2 ფართობზე. კომპანიის მიერ სამთო მინაკუთვნის ფარგლებს გარეთ 4 387,34 მ2 ფართობზე სათანადო ლიცენზიის გარეშე, უკანონოდ მოპოვებული იქნა 16 189,28 მ3 სასარგებლო

წილისეული ქვიშა, ხრეში, გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 16 389,28 ლარი. ასევე, კარიერის საექსპლუატაციო და მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებისას გამონამუშევარ ფართობებზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ იყო დასაწყობებული კარიერის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა 1 804 432,74 ლარი;

- კომპანია ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ 12+400 და კმ 31+259 მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით განთავისუფლდა სასარგებლო წიაღისეულის (საშენი მასალების) მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცა უფლება ორი უბნის კოორდინატების ფარგლებში მოეპოვებინა 198 000 მ3 ქვიშა-ხრეში. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიამ სასარგებლო წიაღისეულის ქვიშა ხრეშის მოპოვება განხორციელა განკუთვნილი ფართობს გარეთ გადაცდომით;

